სარჩელი

ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის
შტამპის ადგილი

მოსარჩელე:

1. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ 2. თენგიზ ჯგუშია	1. 204952676	1. 0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4სართ.
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

	1. 2223874			
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოსარჩელის წარმომადგენელი:

1. ნინო გუჯარაიძე 2. ირმა მახათაძე		1. 0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4სართ. 2. თბილისი, კოსტავას ქ. #76ა, ბ.6
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

				1. ngujaraidze@greenalt.org 2. irmamakhatadze2017@gmail.com
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოპასუხე:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		მარშალ გელოვანის #6, 0159, თბილისი
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი(საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

+99532 2470101				info@mepa.gov.ge
სახლის ტელ..	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი:

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

დასაბარებელი პირის სტატუსი

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

დავის საგანი

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

2020 წლის 14 ივლისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ქ. ზუგდიდში შპს "კოლხეთი ცემენტის" ცემენტის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის განცხადება. მწვანე ალტერნატივამ ადგილზე გასვლის შედეგად აღმოაჩინა, რომ შპს „კოლხეთი ცემენტს“ არა თუ დაგეგმილი, არამედ თითქმის უკვე დასრულებული აქვს საწარმოს მშენებლობა. ორგანიზაციის საჩივრის საფუძველზე ჩატარდა საწარმოს ინსპექტირება. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა შეადგინა სამართალდარღვევის ოქმი, რომლიც განსახილველად გადაეგზავნა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს. კომპანიის მიმართ საჯარო უწყებისა და საზოგადოების მოტყუების გზით სკოპინგის დასკვნის მოპოვების მცდელობის გამო არანაირი სანქცია არ გატარებულა. 2021 წლის 10 მარტს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ შპს „კოლხეთი ცემენტი“ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად სცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7]-ე მუხლის პირველი ნაწილით, თუმცა სანქციად მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადება განსაზღვრა. 2021 წლის 1 აპრილს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მოითხოვა კომპანიის მიმართ სანქციის ჯარიმის სახით გამოყენება.

როგორც 2021 წლის 22 თებერვალს ჩატარებულ სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაზე ქ. ზუგდიდის მერიის წარმომადგენელმა აღინიშნა, კომპანიას მერიის ზედამხედველობის სამსახურთანაც ჰქონდა მიმდინარე დავა უნებართვოდ აშენებული ობიექტის დემონტაჟის თაობაზე.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტროს არც უნდა დაეწყო ადმინისტრაციული წარმოება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ვინაიდან საქმიანობა არ ხვდება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის რეგულირების ფარგლებში. მიუხედავად ამისა, 2021 წლის 5 აპრილს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა ბრძანება №2-400 „ქ. ზუგდიდში, შპს ,,კოლხეთი ცემენტის“ ცემენტის წარმოებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“.

ამდენად, ადმინისტრაციულმა ორგანომ ზემოაღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას საჯარო უფლებამოსილება განახორციელა კანონმდებლობის უხეში დარღვევით. შესაბამისად, 2021 წლის 28 მაისს მწვანე ალტერნატივამ, თენგიზ ჯგუშიამ და მარინა დგებუაძემ ადმინისტრაციული საჩივარი წარადგინეს საქართველოს მთავრობაში და მოითხოვეს სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ მინისტრის ბრძანების ბათილად ცნობა. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით GOV42100018529 ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“, თენგიზ ჯგუშიასა და მარინა დგებუაძის #18227 ადმინისტრაციული საჩივარი განუხილველი დარჩა.

2021 წლის 21 ივნისს მომჩივანებმა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს წარუდგინეს და „ქ. ზუგდიდში, შპს ,,კოლხეთი ცემენტის“ ცემენტის წარმოებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 5 აპრილის №2-400 ბრძანების და საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ მთავრობის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით, სარჩელის წარმოებაში იქნა მიღებული - საქმე №3/3845-21.

მიუხედავად აღნიშნულისა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გააგრძელა პროცესი და განიხილა შპს „კოლხეთი ცემენტის“ მიერ წარმოდგენილი განცხადება გარემოსდაცვითი გადაწყვტილების მოთხოვნის თაობაზე. გარდა იმისა, რომ შპს ,,კოლხეთი ცემენტის" მიერ უკანონოდ დაწყებულ საქმიანობაზე გადაწვეტილების მიღებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვით სამინისტრომ უხეშად დაარღვია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნები, თავად განხილვის პროცესიც არაერთი დარღვევით წარიმართა.

ამასთანავე, „ქ. ზუგდიდში, კოლხეთი ცემენტის'' ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ 2021 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებით გათვალისწინებული პირობებით კომპანიას დაევალა პოსტ ფაქტუმ იმ ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც, როგორც დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შესწავლისას, ისე მიმდინარე საქმიანობის ეკოლოგიური აუდიტის ჩატარებისას, კრიტიკულად მნიშვნელოვანია და კანონით სავალდებულო იყო გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე. ამ ტიპის ინფორმაცია გადამწყვეტია პროექტის განხორციელების შედეგად გარემოს, ადამიანის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის, კულტურული მემკვიდრეობისა და მატერიალური ფასეულობებისათვის შექმნილი საფრთხის დონისა და ამ საფრთხის შემსუბუქებისა, თუ თავიდან არიდების შესაძლებლობების განსასაზღვრად.

ამდენად, წინამდებარე სარჩელი წარმოადგენს მოსარჩელის დარღვეული უფლების დაცვის ერთადერთ სამართლებრივ საშუალებას.

დავის ფაქტობრივი გარემოებები

1. 2020 წლის 14 ივლისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ქ. ზუგდიდში შპს "კოლხეთი ცემენტის" ცემენტის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის განცხადება.

მტკიცებულება - დანართი №1. - 2020 წლის 14 ივლისს გამოქვეყნებული განცხადება.

2. 2020 წლის 15 ივლისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა განცხადებამ რომლის თანახმად კი ქ. ზუგდიდში, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ეზოში დაგეგმილი იყო შპს "კოლხეთი ცემენტის" ცემენტის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა.

მტკიცებულება - დანართი №2. - 2020 წლის 15 ივლისს გამოქვეყნებული განცხადება.

3. განხილვაზე მისულებმა ერთ-ერთი ადგილობრივისგან შევიტყეთ, რომ შეხვედრა არ ჩატარდებოდა. როგორც გაირკვა, სამინისტრომ 2020 წლის 30 ივლისს (საჯარო განხილვის დღეს) გააუქმა საჯარო განხილვა და საკუთარ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა საჯარო განცხადება აღნიშნულის თაობაზე.

გამოქვეყნებულ განცხადებას თან ერთვის შპს "კოლხეთი ცემენტის" დირექტორის - რუბენ გახარიას წერილი, რომლშიც აღნიშნულია რომ შპს-მ ვერ მოახერხა რამდენიმე საკითხის განხილვა და ამიტომ ითხოვდა საჯარო

განხილვის გადადებას. ეს მოთხოვნა სამინისტრომ დაუყოვნებლივ დააკმაყოფილა და გამოაქვეყნა განცხადება საჯარო განხილვის თაობაზე.

მტკიცებულება - დანართი №3. - 2020 წლის 30 ივლისის განცხადება; დანართი №4. შპს "კოლხეთი ცემენტის" დირექტორის წერილი

4. მწვანე ალტერნატივამ ადგილზე გასვლის შედეგად აღმოაჩინა, რომ შპს „კოლხეთი ცემენტს“ არა თუ დაგეგმილი, არამედ თითქმის უკვე დასრულებული აქვს საწარმოს მშენებლობა.

როგორც ადგილობრივებმა მწვანე ალტერნატივასთან შეხვედრის დროს ისაუბრეს, მას შემდეგ, რაც ქარხნის უკანონო მშენებლობის შესახებ შეიტყვეს, არაერთხელ გააპროტესტეს ეს ფაქტი, თუმცა ადგილობრივი მთავრობიდან არანაირი რეაგირება არ მომხდარა. მოსახლეობის თქმით, ქ. ზუგდიდის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლის მაცხოვრებლები მუდმივად განიცდიან ზეწოლას კომპანიის წარმომადგენლების მხრიდან. მოსახლეობის აქციაზე წასვლის ან მათი აქტივისტებთან შეხვედრის შემდეგ, კომპანიის წარმომადგენლები სტუმრობენ მათ და შანტაჟის თუ მოქრთამვის გზით აიძულებენ აღარ გააპროტესტონ ქარხნის მშენებლობა. გარდა ამისა, ადგილობრივებს ეუბნებიან, რომ ქარხანა მაინც აშენდება, რადგან ძალიან ბევრი ფული დაიხარჯა, დემონტაჟი არ მოხდება და კომპანია მხოლოდ ჯარიმის სახით ეცდება გამოასწოროს სიტუაცია და ნებართვა მაინც აიღოს.

ზემოაღნიშნულის შესახებ მწვანე ალტერნატივამ აცნობა სამინისტროს და მოითხოვა შეწყვიტა შპს "კოლხეთი ცემენტის" ცემენტის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის განცხადების განხილვისათვის მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოება; მოახდინა შესაბამისი რეაგირება საწარმოს უკანონო მშენებლობის ფაქტზე; დაავალდებულებინა კომპანიისათვის გარემო პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენა; და მიემართა შესაბამისი სტრუქტურებისათვის უკანონოდ აშენებულ ობიექტზე სკოპინგის დასკვნის თაღლითობის გზით მოპოვების მცდელობის ფაქტთან დაკავშირებით.

მტკიცებულება - დანართი №5. - მწვანე ალტერნატივას 2020 წლის 3 აგვისტოს წერილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსს და საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს.

5. მშენებლობის დაწყების შესახებ ცნობილი იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რომლის პროტესტიც არაერთი მედია-სიუჟეტის საშუალებით გაშუქდა.

მტკიცებულება - დანართი №6 „აქცია კომბინატში - ცემენტის ქარხნის შესაძლო მშენებლობის საწინააღმდეგოდ პეტიცია შეადგინეს“, „რადიო ათინათი, 14:50 / 28.07.2020; ზუგდიდში ცემენტის ქარხნის შესაძლო მშენებლობის წინააღმდეგ აქცია გაიმართა“, pia.ge, 28.7.2020 15:10; “პროტესტი ცემენტის საწარმოს - ვინ და რას აშენებს ენგურქაღალდკომბინატში”, livepress.ge, 12:58 / 30.07.2020; “არა ცემენტის ქარხანას! – ენგურქაღალდკომბინატში აქციის მონაწილეებმა პეტიცია შეიმუშავეს”, odishinews.ge -28 ივლისი 2020, 15:21

6. მწვანე ალტერნატივას საჩივრის საფუძველზე ჩატარდა საწარმოს ინსპექტირება. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა შეადგინა სამართალდარღვევის ოქმი, რომლიც განსახილველად გადაეგზავნა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს. კომპანიის მიმართ საჯარო უწყებისა და საზოგადოების მოტყუების გზით სკოპინგის დასკვნის მოპოვების მცდელობის გამო არანაირი სანქცია არ გატარებულა.

2021 წლის 10 მარტს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ შპს „კოლხეთი ცემენტი“ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად სცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7]-ე მუხლის პირველი ნაწილით, თუმცა სანქციად სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადება განსაზღვრა.

2021 წლის 1 აპრილს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მოითხოვა კომპანიის მიმართ სანქციის ჯარიმის სახით გამოყენება.

მტკიცებულება - დანართი №7. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება; დანართი №8. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სააპელაციო საჩივარი.

7. „შპს ,,კოლხეთი ცემენტმა" 2021 წლის 15 იანვარს, სამინისტროში კვლავ წარმოადგინა სკოპინგის ანგარიში, თუმცა ადმინისტრაციული წარმოება პროექტთან დაკავშირებით არ დაწყებულა და კომპანიას ეცნობა რომ სკოპინგის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც შეფასებული და გაანალიზებული უნდა იყოს საწარმოს ტერიტორიაზე ამჟამად არსებული მდგომარეობა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების სახეები. მოცემული გარემოების შემდგომ, სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, განახლებული სკოპინგის ანგარიში, ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შპს ,,კოლხეთი ცემენტმა" წარმოადგინა 2021 წლის 4 თებერვალს.

წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშიდან დგინდება, რომ შპს ,,კოლხეთი ცემენტის" მიერ საპროექტო ტერიტორიაზე ძირითადი სამშენებლო და დანადგარების სამონტაჟო სამუშაოები უკვე ჩატარებულია. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საზედამხედველო ორგანოებმა დაათვალიერეს ტერიტორია და კანონდარღვევაზე შესაბამისი რეაგირება მოახდინეს. საზედამხედველო ორგანოების მიერ ინსპექტირების განხორციელების შემდგომ კომპანიამ სამშენებლო სამუშაოები შეაჩერა. გარემოსდაცვით ნაწილში სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. კერძოდ, ქ. ზუგდიდში, ჯანაშიას ქ. №1-ში მდებარე, შპს "კოლხეთი ცემენტი"-ს კუთვნილი ცემენტის საწარმოს მიმართ 2020 წლის 12 აგვისტოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 797 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №060880 ოქმი და განსახილველად გადაეგზავნა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 10 მარტის დადგენილებით კომპანიას სიტყვიერი შენიშვნა გამოეცხადა, რომელიც სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში".

მტკიცებულება - დანართი №9. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 5 აპრილის ბრძანება №2-400 „ქ. ზუგდიდში, შპს ,,კოლხეთი ცემენტის" ცემენტის წარმოებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ".

8. "როგორც 2021 წლის 22 თებერვალს ჩატარებულ საჯარო განხილვაზე ქ. ზუგდიდის მერიის წარმომადგენელის მიერ აღინიშნა - კომპანიას მერიის ზედამხედველობის განკარგულებაზე, უნებართვოდ აშენებული ობიექტის დემონტაჟის შესახებ, ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილი ჰქონდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში და მიმდინარეობდა ადმინისტრაციული წარმოება, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ იყო".

მტკიცებულება - დანართი №10. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 19/04/2021 №3783/01 წერილი.

9. ფაქტობრივი გარემოება

2021 წლის 28 მაისს მწვანე ალტერნატივამ, თენგიზ ჯგუშიამ და მარინა დგებუაძემ ადმინისტრაციული საჩივარი წარადგინეს საქართველოს მთავრობაში და მოითხოვეს სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ მინისტრის ბრძანების ბათილად ცნობა. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით GOV42100018529 ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას", თენგიზ ჯგუშიასა და მარინა დგებუაძის #18227 ადმინისტრაციული საჩივარი განუხილველი დარჩა.

მტკიცებულება: დანართი #11– მწვანე ალტერნატივას, თენგიზ ჯგუშიას და მარინა დგებუაძის ადმინისტრაციული საჩივარი; დანართი #12 - საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება.

10. ფაქტობრივი გარემოება

2021 წლის 24 ივნისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე - ქ. ზუგდიდში შპს "კოლხეთი ცემენტის" ცემენტის წარმოების პროექტი“. განცხადებას თან ერთვოდა:

- განცხადება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში;
- ზდგ;
- არატექნიკური რეზიუმე;
- მოსახლეობის განწყობა პროექტთან დაკავშირებით;
- საქმიანობის განხორციელების ტერიტორია;
- Shp ფაილები.

მტკიცებულება: დანართი #13 – გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება თანდართული ფაილებით.

11. ფაქტობრივი გარემოება

2021 წლის 2 ივლისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა „განცხადება ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე - ქ. ზუგდიდში შპს "კოლხეთი ცემენტის" ცემენტის წარმოების პროექტი“.

განცხადებაზე თანდართულ წერილში აღწერილი იყო მთელი რიგი ნაკლოვანებები და წარდგენილი დოკუმენტაციის კანონის მოთხოვნებთან შეუსაბამობები. დასკვნის სახით კი აღნიშნული იყო, რომ „სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ“.

მტკიცებულება: დანართი #14 – გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება; დანართი #15 - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 2 ივლისის წერილი.

12. ფაქტობრივი გარემოება

2021 წლის 20 ივლისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა „განცხადება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე - ქ. ზუგდიდში შპს "კოლხეთი ცემენტის" ცემენტის წარმოების პროექტი“.

განცხადების თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე წარდგენილ განცხადებასთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელი იყო 2021 წლის 14 სექტემბრის ჩათვლით. განცხადებას თან ერთვოდა:

- განცხადება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი
- არატექნიკური რეზიუმე
- Shp ფაილები

კომპანიის განცხადების თანახმად, განსახილველად ასევე წარდგენილი იყო :

- გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის სიტუაციური რუკა (მანძილების მითითებით);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „კოლხეთი ცემენტის“ რეგისტრაციის შესახებ;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საწარმოს მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის კუთვნილების თაობაზე;

- სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი მოსახლეობის დამოკიდებულებებისა და პოზიციების შესწავლის კითხვარების ასლები;
- ქ. ზუგდიდის მაცხოვრებლების კოლექტიური განცხადება საწარმოს მშენებლობასთან დაკავშირებით და მათი ხელმოწერები.

ეს დოკუმენტები სამინისტროს ვებ-გვერდზე არ გამოქვეყნებულა.

მტკიცებულება: დანართი #16 - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება; დანართი #17 - კომპანიის განცხადება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოთხოვნის თაობაზე

13. ფაქტობრივი გარემოება

2021 წლის 20 ივლისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე ასევე გამოქვეყნდა განცხადება „გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა - ქ. ზუგდიდში შპს "კოლხეთი ცემენტის" ცემენტის წარმოების პროექტი“

განცხადების თანახმად, გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის ჩატარება დაგეგმილი იყო 2021 წლის 25 აგვისტოს, 17:00 საათზე, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N 14).

მტკიცებულება: დანართი #18 – გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება საჯარო განხილვის თაობაზე.

14. ფაქტობრივი გარემოება

განხილვის დღეს, 2021 წლის 25 აგვისტოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება საჯარო განხილვის გაუქმების შესახებ. განცხადებაში აღნიშნული იყო: „2021 წლის 25 აგვისტოს შპს ,,კოლხეთი ცემენტის” მიერ სამინისტროში წარმოდგენილი იქნა განცხადება, რომლის მიხედვით - **პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე კომპანიის წარმომადგენლების დასწრება საჯარო განხილვაზე ვერ განხორციელდება.** შესაბამისად კომპანიამ ითხოვა ჩანიშნული საჯარო განხილვის ერთი კვირით გადადება.

შპს ,,კოლხეთის ცემენტის” მომართვისა და ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” საფუძველზე, ვინაიდან საქმიანობის განმახორციელებელი/განმცხადებელი ითხოვდა მის მიერ დაგეგმილ საქმიანობაზე საჯარო განხილვის გადადებას და ვერ დაესწრებოდა განხილვის პროცესს, სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება განხილვის გადადების შესახებ.

ქ. ზუგდიდში შპს ,,კოლხეთი ცემენტის" ცემენტის წარმოების პროექტის გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა ჩატარდება 2021 წლის 31 აგვისტოს, 17:00 საათზე, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში“.

მტკიცებულება: დანართი #19 გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს განცხადება დანართი #20 - კომპანიის განცხადება

15. ფაქტობრივი გარემოება

2021 წლის 27 აგვისტოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი ადგილობრივი მოსახლეები წერილი, სადაც ელექტრონულ რესურსებზე წვდომის პრობლემების გამო, მოქალაქეები ითხოვენ განსახილველი დოკუმენტების ნაბეჭდ ვერსიას და საჯარო განხილვის 8 სექტემბრამდე გადადებას განსახილველი დოკუმენტების უკეთ გაცნობის მიზნით.

აღნიშნულ მოთხოვნაზე პასუხად სამინისტრომ მოქალაქეებს აცნობა, რომ განსახილველი დოკუმენტების ნაბეჭდი ვერსია ხელმისაწვდომი იქნებოდა საჯარო განხილვაზე, ხოლო „საჯარო განხილვის გადადებას მსგავსი საფუძვლით ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი” არ ითვალისწინებს და შესაბამისად, დანიშნული საჯარო განხილვა

ჩატარდება ქ. ზუგდიდში 2021 წლის 31 აგვისტოს, 17:00 საათზე, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში“.

მტკიცებულება: დანართი #21 – მწვანე ალტერნატივას, თენგიზ ჯგუშიას და მარინა დგებუაძის ადმინისტრაციული საჩივარი; დანართი #22 - საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება.

16. ფაქტობრივი გარემოება

2021 წლის 27 აგვისტოს სამინისტროს ასევე საჩივრით მიმართა მწვანე ალტერნატივამ და მიუთითა, ერთის მხრივ, საჯარო განხილვის კანონით დადგენილი პროცედურის დარღვევით ჩატარების შესახეხ და, მეორე მხრივ, მთლიანად პროცესის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსთან წინააღმდეგობაზე.

მტკიცებულება: დანართი #23 – მწვანე ალტერნატივას საჩივარი.

17. ფაქტობრივი გარემოება

2021 წლის 31 აგვისტოს შპს „კოლხეთი ცემენტის” ცემენტის წარმოების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა. საჯარო განხილვაზე სამინისტროს წარმომადგენელმა საზოგადოებას განუმარტა პროცედურა, ხოლო დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შესახებ პრეზენტაცია შპს „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენელმა გააკეთა. საზოგადოების კითხვებს გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით პასუხს სცემდა გამა კონსალტინგის წარმომადგენელი, ხოლო სამინისტროს წარმომადგენელი განუმარტავდა მოქალაქეებს, რომ „ზემოქმედების საკითხები, რომლითაც მოსახლეობაა დაინტერესებული, ასევე შესაბამისი პასუხები და არგუმენტები, რომელიც მოსახლეობას სურს რომ მიიღოს პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში. ანგარიში ხელმისაწვდომია, როგორც მატერიალური ისე ელექტრონული სახით და ყველას შეუძლია გაეცნოს. იმ შემთხვევაში თუ უშუალოდ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან ან/და ჩატარებულ კვლევებთან მიმართებაში (რომელიც წარმოადგენს ფაქტობრივ მტკიცებულებას) დაინტერესებულ მხარეებს ექნებათ შენიშვნები/მოსაზრებები შესაძლებლობა აქვთ, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, წარუდგინონ სამინისტროს“.

ასევე, სამინისტროს წარმომდგენელმა საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით გააკეთა განმარტება, „რომ ვადა, კანონმდებლობის შესაბამისად, დაცული იყო საჯარო განხილვის გამოქვეყნების დღიდან, თუმცა კანონმდებლობით **არ არის არანაირი ვადა განსაზღვრული საჯარო განხილვის გადადების შესახებ განცხადების გამოქვეყნების შესახებ**“.

მტკიცებულება: დანართი #24 – საჯარო განხილვის ოქმი.

18. ფაქტობრივი გარემოება

ქ. ზუგდიდში შპს ,,კოლხეთი ცემენტის'' ცემენტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს სპეციალურად შექმნილმა საექსპერტო კომისიამ ჩაუტარდა ექსპერტიზა. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, „შპს ,,კოლხეთი ცემენტის'' მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით სამინისტროში წარდგენილია, ქ. ზუგდიდში, ცემენტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია“. წინმსწრებით უკანონოდ აშენებულ საწარმოზე მსჯელობისას კომისიამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ანგარიშში წარმოდგენილი იყო **საწარმოს განთავსების ალტერნატივები** - როგორც ამას ითხოვს კანონი და საქმიანობისათვის განკუთვნილი ტერიტორიის შერჩევის კრიტერიუმებიც კი განიხილა.

8 ფურცლიანი დასკვნის 6 ფურცელზე, ყოველგვარი შეფასების გარეშე, წარმოდგენილია განსახილველი დოკუმენტის მოკლე შინაარსი. დასკვნის სახით კი აღნიშნულია:

„ექსპერტიზის ჩატარების შედეგად საექსპერტო კომისიას მიაჩნია, რომ საქმიანობის განხორციელება და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა შესაძლებელია შემდეგი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში:

1. შპს ,,კოლხეთი ცემენტმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სამინისტროსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე, აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
2. შპს ,,კოლხეთი ცემენტმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს გაფრქვევის წყაროებზე მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი ინსტრუმენტული მეთოდით განსაზღვრა „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილების შესაბამისად;
3. **შპს ,,კოლხეთი ცემენტმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება** და სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც გაფრქვევის წყაროებზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად (გაფრქვევის წყაროებზე მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევის ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით), დამატებით გათვალისწინებული იქნება ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები საწარმოს ტერიტორიაზე და უახლოეს მოსახლესთან (მონიტორინგის წერტილების კოორდინატებისა და სიხშირის მითითებით);
4. **შპს ,,კოლხეთი ცემენტმა“ მტვრის გავრცელების პრევენციის მიზნით, ექსპლუატაციაში შესვლამდე უზრუნველყოს, ცხელ და მშრალ ამინდებში საწარმოსთან მისასვლელი გზების მორწყვის გეგმა-გრაფიკის სამინისტროსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.** საქმიანობა განახორციელოს შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად;
5. **შპს ,,კოლხეთი ცემენტმა“ უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების კონკრეტული გეგმის სამინისტროსთან შესათანხმებლად წარმოდგენა**, სადაც, დამატებით გათვალისწინებული იქნება გზების მორწყვის საკითხები, ავტოცემენტმზიდების საწარმოს ტერიტორიის დატოვებამდე საბურავების მტვრისგან გათავისუფლების, ასევე, არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვის ღონისძიებები;
6. შპს ,,კოლხეთი ცემენტმა“ გარემოსდაცვითი მონიტორინგის შედეგების სამინისტროში წარმოდგენა უზრუნველყოს წელიწადში ერთხელ;
7. შპს ,,კოლხეთი ცემენტმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ხმაურზე მონიტორინგის განხორციელება ინსტრუმენტული მეთოდით. მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით **უზრუნველყოს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების სამინისტროსთან შეთანხმება და განხორციელება;**
8. შპს ,,კოლხეთი ცემენტმა“ დასახლებულ პუნქტში არ დაუშვას ნედლეულის/მასალის და მზა პროდუქციის ტრანსპორტირება დაბინძურებული და ძარაგადაუხურავი ავტომანქანებით;
9. შპს ,,კოლხეთი ცემენტმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილი გამწვანების ზოლის მოვლა-პატრონობა. ამასთან, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში, წელიწადში ერთხელ, სამინისტროში წარმოადგინოს საწარმოს ტერიტორიაზე ჩატარებული გამწვანებითი ღონისძიებების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, შესაბამის ფოტომასალასთან ერთად;
10. ექსპლუატაციის დაწყებამდე უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად **ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება.** ნარჩენების მართვა უზრუნველყოს სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად“.

მტკიცებულება: დანართი #25 – ბადრი ცატავას (კომისიის თავმჯდომარე) - სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის მოწვეული სპეციალისტი - დასკვნა; დანართი #26 - ნინო ობოლაშვილი (კომისიის წევრი) - გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის ინტეგრირებული მართვის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - დასკვნა; დანართო #27 - ალექსანდრე სურმავა (კომისიის წევრი) - საზოგადოებრივი ექსპერტის დასკვნა; დანართი #28 - ექსპერტიზის დასკვნა ქ. ზუგდიდში შპს ,,კოლხეთი ცემენტის'' ცემენტის წარმოების პროექტზე.

19. 2021 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა ბრძანება № 2-1409 „ქ. ზუგდიდში, კოლხეთი ცემენტის'' ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“

მტკიცებულება - დანართი #29. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება № 2-1409 „ქ. ზუგდიდში, კოლხეთი ცემენტის'' ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“

20. გასაჩივრებული აქტი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება № 2-1409 „ქ. ზუგდიდში, კოლხეთი ცემენტის'' ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ და მისი გამოცემისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები გადმოგვეცა 2021 წლის 25 ოქტომბერს.

მტკიცებულება - დანართი №30. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 25/10/2021 №11094/01 წერილი.

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

1. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება № 2-1409 „ქ. ზუგდიდში, კოლხეთი ცემენტის'' ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ".

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

1.1. სარჩელი შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მოთხოვნებს. კერძოდ: სსსკ-ის 177.3 მუხლის თანახმად, სარჩელი უნდა პასუხობდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს და შედგენილი უნდა იყოს ამ ნიმუშში მითითებული წესების დაცვით. სარჩელში სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. წინამდებარე სარჩელი შედგენილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშში ასახული კითხვარების მიხედვით, თანმიმდევრობით არის გადმოცემული დავის არსი, სრულყოფილად და თანმიმდევრულად არის გადმოცემული თითოეული ფაქტობრივი გარემოება, ამ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით მოსარჩელის მოსაზრებები, ასევე თანმიმდევრულად არის მითითებული და წარმოდგენილი ამ ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები (იხ. სარჩელი)

1.2. სარჩელი სრულად შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, მასში შესაბამის გრაფაში მითითებულია მხარეები, მათი რეკვიზიტები სრულად.

1.3. სარჩელი წარმოდგენილია განსჯად სასამართლოში, რომელიც არის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, ვინაიდან გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ, რომლის იურიდიული მისამართია - ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი 6.

რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებს:

1.4. სზაკ-ის 2.1 მუხლის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

1.5. სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

გასაჩივრებული აქტი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება № 2-1409 „ქ. ზუგდიდში, კოლხეთი ცემენტის'' ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" - გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით და ის ბათილად

უნდა იქნეს ცნობილი, სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, შემდეგ გარემოებათა გამო:

1.6. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი:

I. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლი: 1. გზშ-ს ექვემდებარება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც ამ კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის შესაბამისად მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გზშ-ს. 2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. თუმცა, სამინისტრომ შესაძლებლად ჩათვალა II დანართით გათვალისწინებულ უკვე განხორციელებულ საქმიანობაზე გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

II. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას ითვალისწინებს მხოლოდ დაგეგმილ საქმიანობებზე.

კოდექსის მე-3 მუხლის დ) ქვეპუნქტის თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასება (შემდგომ – გზშ) – არის შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით, გარემოზე შესაძლო ზემოქმედების გამოვლენისა და შესწავლის პროცედურა იმ **დაგეგმილი საქმიანობისთვის**, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე და რომელიც მიეკუთვნება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას და, სკრინინგის გადაწყვეტილების შესაბამისად, ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას.

უკვე მიმდინარე საქმიანობაზე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ითვალისწინებს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. ასეთი გადაწყვეტილების მიღება ხდება ეკოლოგიური აუდიტის (და არა გზშ-ს საფუძველზე, რომელიც მხოლოდ დაგეგმილის საქმიანობის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების გამოვლენისა და შესწავლის პროცედურაა) საფუძველზე, რომელიც გულისხმობს ამ საქმიანობის ტექნიკური, ეკოლოგიური და სოციალური მაჩვენებლების კომპლექსურ ანალიზს, რომელიც მოიცავს მთელ საწარმოო-ტექნოლოგიურ ციკლს, ტარდება გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირების საშუალებების დადგენისა და აღნიშნული საქმიანობის გარემოსდაცვით ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. თუმცა, კოდექსის თანახმად, ასეთი გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ ისეთ საქმიანობებზე, რომელთა განხორციელებაც 2015 წლის 1 ივნისამდე დაიწყო და რომლებსაც არა აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა ან მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება (47-ე მუხლი).

III. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლი მე- 3. პუნქტის თანახმად, გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს:

ა) **დაგეგმილი საქმიანობის** აღწერას, კერძოდ:

ა.ა) საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერას, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), აგრეთვე **დაგეგმილი საქმიანობისთვის** გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერას;

ა.ბ) ინფორმაციას მიწის კატეგორიისა და მიწათსარგებლობის ფორმის შესახებ, **როგორც მშენებლობის**, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე;

ა.გ) ინფორმაციას **დაგეგმილი საქმიანობის** ფიზიკური მახასიათებლების (სიმძლავრე, მასშტაბი და საწარმოო პროცესი, მათ შორის, შესაძლო საწარმოებელი პროდუქციის ოდენობა, მოთხოვნილი ენერგია, წარმოებისას გამოსაყენებელი მასალა და ბუნებრივი რესურსები და სხვა) შესახებ;

ა.დ) ინფორმაციას სადემონტაჟო სამუშაოებისა და მეთოდების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში);

ა.ე) ინფორმაციას **მშენებლობისა** და ექსპლუატაციის ეტაპებზე შესაძლო უარყოფითი შედეგების და ემისიების (როგორებიცაა წყლის, ჰაერის, მიწის და წიაღისეულის დაბინძურება, ხმაური, ვიბრაცია, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, სითბური გამოსხივება, რადიაცია) შესახებ;

ა.ვ) ინფორმაციას იმ ნარჩენების სახეების, მახასიათებლებისა და რაოდენობის შესახებ, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ნარჩენების მართვის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ დამატებით ინფორმაციას;

ბ) ინფორმაციას გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული **დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ**, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ, რომელიც გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით;

გ) ინფორმაციას **დაგეგმილი საქმიანობის** განხორციელებისას გარემოზე შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესახებ, მათ შორის, მოსახლეობაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, ბიომრავალფეროვნებაზე (მათ შორის, მცენარეთა და ცხოველთა სახეობები, ჰაბიტატები, ეკოსისტემები), წყალზე (მათ შორის, ჰიდრომორფოლოგიური ცვლილებები, რაოდენობა, ხარისხი), ჰაერზე, ნიადაგზე (მათ შორის, ნიადაგის მოხსნა), მიწაზე (მათ შორის, ორგანული ნივთიერებები, ეროზია, დატკეპნა, დეგრადაცია), კლიმატზე (მათ შორის, სათბურის გაზების ემისია), ლანდშაფტზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე (მათ შორის, არქიტექტურული და არქეოლოგიური ასპექტები) და მატერიალურ ფასეულობებზე ზემოქმედების შესახებ;

დ) ინფორმაციას ამ ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კომპონენტებსა და მათ ურთიერთქმედებაზე **დაგეგმილი საქმიანობის** განხორციელებით შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი, კუმულაციური, ტრანსსასაზღვრო, მოკლევადიანი და გრძელვადიანი, პოზიტიური და ნეგატიური ზემოქმედების შესახებ, რომელიც გამოწვეულია:

დ.ა) **დაგეგმილი საქმიანობისთვის** საჭირო სამშენებლო სამუშაოებით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, სადემონტაჟო სამუშაოებით;

დ.ბ) ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენებით, ამ რესურსების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით;

დ.გ) გარემოს დამაბინძურებელი ფაქტორების ემისიით, ხმაურით, ვიბრაციით, რადიაციით, ნარჩენების განთავსებითა და აღდგენით;

დ.დ) გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე ან კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების რისკებით (მაგალითად, ავარიის ან კატასტროფის შემთხვევაში);

დ.ე) სხვა, არსებულ საქმიანობასთან ან დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედებით;

დ.ვ) საქმიანობის კლიმატზე ზემოქმედებით და კლიმატის ცვლილებით განპირობებული საქმიანობის მოწყვლადობით;

დ.ზ) გამოყენებული ტექნოლოგიით, მასალით ან/და ნივთიერებით;

ე) ინფორმაციას **დაგეგმილი საქმიანობის** განხორციელების შედეგად **შესაძლო** ინციდენტების განსაზღვრისა და მათი შედეგების შეფასების შესახებ, მათ შორის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების სამოქმედო გეგმას;

ვ) სამოქმედო გეგმას **დაგეგმილი საქმიანობის** განხორციელებით გამოწვეული გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების შედეგების, მათი თავიდან აცილების, შემცირების, შერბილებისა და კომპენსაციის ღონისძიებათა შესახებ. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს როგორც საქმიანობის განხორციელების, ისე შემდგომი ექსპლუატაციის ეტაპებს;

ზ) გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასებას და მისი აუცილებლობის დასაბუთებას, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;

თ) ინფორმაციას **დაგეგმილი საქმიანობის** შეწყვეტის შემთხვევაში ამ საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს მდგომარეობის აღდგენის საშუალებების შესახებ;

ი) **დაგეგმილი საქმიანობის** განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერას, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკის მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;

კ) სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასებას;

ლ) ინფორმაციას კვლევების მეთოდოლოგიის და გარემოს შესახებ ინფორმაციის წყაროების თაობაზე;

მ) ამ ნაწილის „ა“–„ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოკლე არატექნიკურ რეზიუმეს, საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

შპს „კოლხეთი ცემენტს“ კოდექსის მე-10 მუხლით მოთხოვნილი ინფორმაცია არ წარუდგენია და ვერც წარადგენდა, ვინაიდან საწარმო უკვე აშენებული ჰქონდა. მეტიც, 2021 წლის 1 ოქტომბრის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებით გათვალისწინებული პირობებით კომპანიას დაევალა პოსტ ფაქტუმ იმ ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც, როგორც დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შესწავლისას, ისე მიმდინარე საქმიანობის ეკოლოგიური აუდიტის ჩატარებისას, კრიტიკულად მნიშვნელოვანია და კანონით სავალდებულო იყო გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე. ამ ტიპის ინფორმაცია გადამწყვეტია პროექტის განხორციელების შედეგად გარემოს, ადამიანის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის, კულტურული მემკვიდრეობისა და მატერიალური ფასეულობებისათვის შექმნილი საფრთხის დონისა და ამ საფრთხის შემსუბუქებისა, თუ თავიდან არიდების შესაძლებლობების განსასაზღვრად.

IV. მუხლი 12. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება

5. განცხადების ამ კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით განთავსებიდან არაუადრეს 25-ე დღისა და არაუგვიანეს 30-ე დღისა სამინისტრო ატარებს გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვას. საჯარო განხილვის ორგანიზებისა და ჩატარებისთვის პასუხისმგებელია სამინისტრო. საჯარო განხილვას უძღვება და საჯარო განხილვის შესახებ ოქმს ადგენს სამინისტროს წარმომადგენელი. ამ ოქმის სისწორისთვის პასუხისმგებელია სამინისტრო. საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვის ჩატარებამდე არაუგვიანეს 20 დღისა, ამ კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად.

საჯარო განხილვა ჩატარდა განცხადების გამოქვეყნებიდან სამი დღის შემდეგ.

6. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
ა) განსახილველი საკითხის არსი და მოკლე აღწერა, საკითხის განხილვის ფორმატი.
განცხადებაში მხოლოდ აღნიშნული იყო, რომ იგეგმებოდა ქ. ზუგდიდში შპს "კოლხეთი ცემენტის" ცემენტის წარმოების პროექტის განხილვა.
გ) იმ ვებგვერდის მისამართი, რომელზედაც ხელმისაწვდომია ეს განცხადება, გზშ-ის ანგარიში და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, აგრეთვე მითითება საჯარო განხილვის დროს აღნიშნული დოკუმენტების ნაბეჭდი ეგზემპლარების მიღების შესაძლებლობის შესახებ.

მსგავსი ინფორმაცია განცხადებაში წარმოდგენილი არ ყოფილა. მეტიც, მოქალაქეების მოთხოვნაზე განხილვამდე ნაბეჭდი ეგზემპლიარების მიწოდების თაობაზე, სამინისტრომ უპასუხა, რომ ნაბეჭდი ვერსიების საჯარო განხილვაზე იქნებოდა ხელმისაწვდომი.

7. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემის პროცესში სამინისტრომ უნდა განიხილოს და, შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მხედველობაში უნდა მიიღოს ამ კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საზოგადოების და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები და შენიშვნები, გზშ-ის ანგარიშის შესწავლის შედეგები, შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შემთხვევაში – ამ კოდექსის V თავის შესაბამისად განხორციელებული გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის შედეგები.

სამინისტრომ არ განიხილა სათანადოდ გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები.

V. მუხლი 14. საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება
1. მინისტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ, თუ: ა) საქმიანობის განხორციელება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან სასამართლოს/არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას.

სამინისტროს ჰქონდა საკმარისზე მეტი ინფორმაცია საქმიანობის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ - საქმიანობის განხორცილება უკვე დაწყებული იყო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნების უხეში დარღვევით.

VI. მუხლი 32. საზოგადოების ინფორმირება
1. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსდეს:
ბ) გაზეთში, რომელიც შესაძლო ზემოქმედებისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ფართოდ არის გავრცელებული და ხელმისაწვდომია დაინტერესებული საზოგადოების უმრავლესობისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
გ) შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და ვებგვერდზე, აგრეთვე ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილას (ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი);

2021 წლის 31 აგვისტოს საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ განცხადება ზემოხსენებული წესების დაცვით არ გამოქვეყნებულა.

2. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ცნობა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას:
ა) იმ საკითხის შესახებ, რომელზედაც, ამ კოდექსის შესაბამისად, მიღებული უნდა იქნეს გადაწყვეტილება;
გ) ამ კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობის საშუალებების შესახებ, აგრეთვე მონაცემებს იმ ადგილისა და მისამართის შესახებ, სადაც შესაძლებელია აღნიშნული დოკუმენტაციის გაცნობა;
3. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ცნობის განთავსების დრო იმგვარად უნდა განისაზღვროს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობა.

არცერთი ეს მოთხოვნა არ ყოფილა დაცული. მეტიც, მოქალაქეებს უარი უთხრეს საჯარო განხილვის კანონით დადგენილ ვადაში ჩატარებაზე.

1.7. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ არაფერი გააკეთა შპს „კოლხეთი ცემენტის“ მიერ საზოგადოებისა და თავად სამინისტროს მოტყუების მცდელობის აღსაკვეთად.

ნაცვლად აღნიშნულისა, სამინისტრომ არათუ აღკვეთა, არამედ წაახალისა კიდევაც მსგავსი ქმედება და უკვე მიმდინარე საქმიანობაზე გასცა ჯერ სკოპინგის დასკვნა და შემდეგ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, რომელიც მხოლოდ დაგეგმილი საქმიანობის შემთხვევაში გაიცემა. აღნიშნულით ცალსახად დასტურდება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ მინიჭებული საჯარო უფლებამოსილება განახორციელა კანონსაწინააღმდეგოდ ადმინისტრაციული პრინციპების უხეში უგულებელყოფით, რის გამოც სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება № 2-1409 „ქ. ზუგდიდში, კოლხეთი ცემენტის'' ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

1.8. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

I. მუხლი 53. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთება
1. წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას.
2. დასაბუთება წინ უძღვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილს.

გასაჩივრებული აქტი არ მოიცავს დასაბუთებას. წარმოდგენილია მხოლოდ განსახილველი დოკუმენტის მიმოხილვა.

II. მუხლი 96. საქმის გარემოებათა გამოკვლევა
1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

სამინისტრომ კომპანიას პოსტ ფაქტუმ დაავალა იმ ინფორმაციის წარმოდგენა, რომლიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა განეხილა.

III. მუხლი 116. საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობის გამოქვეყნება
1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ამ კოდექსით დადგენილი წესით გამოაქვეყნოს ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ.
2. ცნობაში უნდა მიეთითოს:

ა) ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება და მისი მისამართი. თუ ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობა შესაძლებელია სხვა ადმინისტრაციულ ორგანოშიც – ამ ორგანოს დასახელება და მისამართი;
ბ) განცხადების ან/და ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი;
გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა;
დ) საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა.

მოცემულ შემთხვევაში არ ყოფილა გამოქვეყნებული: განცხადების ან/და ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა.

IV. მუხლი 117. საჯარო გაცნობისათვის წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა
1. საჯარო გაცნობისათვის წარდგენილ უნდა იქნეს:
ა) განცხადება და მასზე დართული დოკუმენტები, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე;
ბ) დასკვნა ან მოსაზრება, რომელიც ამ განცხადებასთან დაკავშირებით იქნა წარდგენილი ადმინისტრაციულ ორგანოში;
გ) იმ დოკუმენტების ნუსხა, რომლებიც არ არის საჯარო გაცნობისათვის წარდგენილი.
2. ყველას აქვს უფლება დაუბრკოლებლად გაეცნოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილ დოკუმენტებს იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელშიც მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან ადმინისტრაციული ორგანოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დოკუმენტების საჯაროდ გაცნობისათვის წარდგენა შეიძლება მოხდეს სხვა ადმინისტრაციული ორგანოში, ამ უკანასკნელის თანხმობით.
3. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილი დოკუმენტების ასლები.

საჯარო გაცნობისათვის არ გამოქვეყნებულა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე, დასკვნები და მოსაზრებები, რომელიც ამ განცხადებასთან დაკავშირებით იქნა წარდგენილი ადმინისტრაციულ ორგანოში, იმ დოკუმენტების ნუსხა, რომლებიც არ არის საჯარო გაცნობისათვის წარდგენილი.
ასევე, სამინისტრომ უარი უთხრა საინტერესებულ პირებს განსახილველი დოკუმენტების მოთხოვნის შესაბამისად მიწოდებაზე.

V. მუხლი 119. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება და საჯარო გაცნობისათვის წარდგენა
თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განცხადების რეგისტრაციიდან ერთი თვის განმავლობაში მოამზადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი.

კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სამინისტროს კი გადაწყვეტილების პროექტი არ გამოუქვეყნებია.

1.9. სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლები.

1.10. „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ'' კონვენციის პირველი, მესამე და მეექვსე მუხლების მოთხოვნა.

კერძოდ: „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის 1-ლი მუხლის თანახმად, „იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში, ამ კონვენციის დებულების შესაბამისად ყველა მხარე იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლების გარანტიას“.

კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ყოველი მხარე ეცდება უზრუნველყოს, რომ ოფიციალურმა პირებმა და ხელისუფლების ორგანოებმა წარმართონ და ხელი შეუწყონ საზოგადოებას, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახადონ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, გაუადვილონ გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა და ხელმისაწვდომი გახადონ სამართალწარმოება“; ხოლო იმავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „წინამდებარე კონვენციის შესაბამისი დებულებების ფარგლებში საზოგადოებას ექნება გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მართლმსაჯულების საკითხების მოპოვების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, სად არის რეგისტრირებული მათი სამყოფელი ან სად ეწევიან ფაქტიურ საქმიანობას“.

კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, თითოეული მხარე:
ა) I დანართში ჩამოთვლილი შემოთავაზებული საქმიანობის ნებართვაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამოიყენებს წინამდებარე მუხლის დებულებებს;
ბ) საკუთარი ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩოებში აგრეთვე გამოიყენებს წინამდებარე მუხლის დებულებებს იმ შემოთავაზებულ საქმიანობებში, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი I დანართში, თუმცა შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ გარემოზე.
2. ვინაიდან დაგეგმილ საქმიანობას შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს გარემოზე და საქმიანობა შედის კონვენციის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობის ჩამონათვალში დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინების მეშვეობით (გარემოებათა გათვალისწინებით) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე. მათ შორისაა შემდეგი საკითხები:
ა) შემოთავაზებული საქმიანობა და განაცხადი, რომელზეც იქნება მიღებული გადაწყვეტილება;
ბ) შესაძლებელი გადაწყვეტილებების ხასიათი ან გადაწყვეტილების პროექტი;
ც) ხელისუფლების ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია გადაწყვეტილების მიღებაზე;
დ) გათვალისწინებული პროცედურა იმის ჩათვლით თუ როდის და როგორ იქნება ეს ინფორმაცია მოწოდებული:
I) პროცედურის განხორციელების დაწყება;
II) საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობანი;
III) ნებისმიერი წინასწარ დაგეგმილი სახალხო მოსმენის დრო და ადგილი;
IV) მითითება ხელისუფლების ორგანოდან, საიდანაც სათანადო ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი და სადაც ეს ინფორმაცია იგზავნება საზოგადოებისათვის განსახილველად;
V) შესაბამისი ხელისუფლების ორგანოს ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფო უწყების მითითება, რომელსაც შესაძლებელია გაეგზავნოს შენიშვნები, კითხვები და მათი წარდგენის განრიგი;
VI) მითითება იმის შესახებ თუ შემოთავაზებულ საქმიანობასთან დაკავშირებული რომელი გარემოსდაცვითი ინფორმაცია არის ხელმისაწვდომი;
ე) ფაქტი, რომ საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეროვნულ თუ ტრანსსასაზღვრო პროცედურას.

3. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები სხვადასხვა ფაზებისათვის ითვალისწინებს გონივრულ ვადებს, რითაც ზემოთ, მეორე პუნქტის შესაბამისად იძლევა საკმარის დროს საზოგადოების ინფორმირებისათვის და გარემოს დაცვის საკითხების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტური მომზადებისა და მონაწილეობისათვის.
4. ყოველი მხარე უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობას ადრეულ ეტაპზე, როდესაც ვარიანტები ღიაა და საზოგადოებას აქვს მასში ეფექტური მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.
5. ყოველი მხარე, სადაც ეს შესაძლებელია, ვალდებულია განაცხადის წარდგენამდე წაახალისოს პოტენციური მონაწილეები განსაზღვროს დაინტერესებული საზოგადოება, გამართოს მასთან მსჯელობა და განაცხადის წარდგენამდე მიაწოდოს მას ინფორმაცია მათი განაცხადების ამოცანებზე ნებართვის მიღების შესახებ.
6. ყოველი მხარე კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოსაგან მოითხოვს, მოთხოვნის შესაბამისად, თუკი ამას ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობა, მისცეს დაინტერესებულ საზოგადოებას საშუალება, როგორც კი ამის შესაძლებლობა გამოჩნდება, უფასოდ და დროულად შეამოწმოს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც გადაწყვეტილების მისაღებად იქნება საჭირო, რომელზეც ამ მუხლშია საუბარი და რომელიც საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის მომენტისათვის ხელმისაწვდომი იქნება მხარეების იმ უფლების შელახვის გარეშე, რაც გულისხმობს გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნებაზე უარის თქმას, (მეოთხე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად). ასეთ ინფორმაციაში შევა მინიმუმ მეოთხე მუხლის ინფორმაცია ამ მუხლის პირობების დარღვევის გარეშე;
a) სავარაუდო საქმიანობის ადგილის და ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლების აღწერილობა მოსალოდნელი ნარჩენებისა და გამონაბოლქვების შეფასების ჩათვლით;
b) იმ მნიშვნელოვანი გავლენის აღწერა, რომელსაც მოახდენს შემოთავაზებული საქმიანობა გარემოზე;
c) იმ ღონისძიებების აღწერა, რომელიც გათვალისწინებულია შედეგების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად, გამონაბოლქვების ჩათვლით;
d) ზემოაღნიშნულის არატექნიკური შეჯამება;
e) განმცხადებლის მიერ შესწავლილი ძირითადი ალტერნატივის მონახაზი;
f) ეროვნული კანონმდებლობის თანახმად ის ძირითადი მოხსენებები და ინფორმაცია, რომელსაც გამოსცემს ხელისუფლების ორგანო იმ დროისათვის, როდესაც დაინტერესებულ საზოგადოებას ზემოთ მოცემული მეორე პუნქტის მიხედვით უნდა მიეწოდოს ინ ფორმაცია.
7. საზოგადოების მონაწილეობისათვის დადგენილი პროცედურა ნებას რთავს საზოგადოებას წარადგინოს საზოგადოების მოსმენაზე ან შეკითხვისას წერილობითი სახით, განმცხადებლის ხელით ნებისმიერი შენიშვნა, ინფორმაცია, ანალიზის შედეგი ან აზრი, რომელსაც იგი შემოთავაზებული საქმიანობისათვის შესატყვისად მიიჩნევს, თუკი ეს ხელსაყრელია.
8. ყოველი მხარე უზრუნველყოფს, რომ ჯეროვანი ყურადღება მიექცეს საზოგადოების მონაწილეობის შედეგებს.

როგორც ზემოთ უკვე დეტალურად აღვწერეთ, საზოგადოების ინფორმირების, საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის კონვენციის დადგენილი მოთხოვნები სრულად იყო უგულებელყოფილი.

მტკიცებითი შუამდგომლობები

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
დაევალოს მოპასუხეებს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემ დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების სრულად წარმოდგენა.

სხვა სახის შუამდგომლობები

1. მოთხოვნა

საქმეში მესამე პირად ჩაერთოს შპს "კოლხეთი ცემენტი".

არგუმენტაცია: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა ეხება შპს "კოლხეთი ცემენტის" სახელზე გაცემული აქტის ბათილად ცნობას. შესაბამისად, შპს „კოლხეთი ცემნტი" (მისამართი: ზუგდიდი, ჯანაშიას ქ №1; საიდენტიფიკაციო კოდი: 404583571; კომპანიის დირექტორი: რუბენ გახარია; ტელეფონი 551718181; ელ. ფოსტა evrocement@mail.ru) წარმოადგენს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ მესამე პირს აღნიშნული დავის მიზნებისთვის.

2. მოთხოვნა

სასამართლოს წინაშე ვშუამდგომლობთ, რომ წინამდებარე სარჩელის წარმოებაში მიღების განჩინებაში აღინიშნოს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების შესახებ. კერძოდ: შეჩერდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება № 2-1409 „ქ. ზუგდიდში, კოლხეთი ცემენტის'' ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" ბრძანების მოქმედება.

არგუმენტაცია: შუამდგომლობა წინამდებარე სარჩელის წარმოებაში მიღების განჩინებაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების აღნიშვნის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

წარმოდგენილი სარჩელი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს, სასკ-ის 22-ე მუხლით გათვალისწინებულ დასაშვებობის წინაპირობებს, შესაბამისად სარჩელი მიღებული უნდა იქნეს სასამართლო წარმოებაში და ცნობილი უნდა იქნეს დასაშვებად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ისეთ ღონისძიებას, როგორიცაა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას. ამავე ნორმის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, როდესაც გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი ავტომატურად არ ჩერდება და აქტის შეჩერება მხარის მოთხოვნით და მხოლოდ სასამართლოს დასაბუთებული განჩინების საფუძველზე. კერძოდ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ:

ა) ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლის ან სხვა გადასახდელების გადახდასთან;

ბ) აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს, ან მნიშვნელვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას;

გ) იგი გამოცემულია შესაბამისი კანონის საფუძველზე გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;

დ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულია წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებელი აღსრულების შესახებ თუ არსებობს გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა;

ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია ან იგი წარმოადგენს აღმჭურველ აქტს და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს;

ვ) ეს გათვალისწინებულია კანონით;

მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული აქტი არ ექცევა სასკ-ის 29.2 მუხლით განსაზღვრულ ჩამონათვალში, ამავე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სარჩელის წარმოებაში მიღებით, მისი მოქმედება ჩერდება ავტომატურად; ანუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონმდებელი სასამართლოს არ ავალდებულებს ფაქტობრივ გარემოებებზე დაფუძნებით დაასაბუთოს სადავო აქტის მოქმედების შეჩერების მიზანშეწონილობა. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე სარჩელის აღძვრისას, რასაც ადგილი აქვს განსახილველ შემთხვევაში, ამ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მხოლოდ კანონისმიერი საფუძვლით ხდება სასამართლოს მიერ სადაო აქტის მოქმედების შეჩერება (ადმ.საპ. კოდექსის 29.1 მუხლი, კანონისმიერი შეჩერება, სუსპენზიური ეფექტი).

იმ შემთხვევაში თუ, მიუხედავად ზემოაღნიშნული დასაბუთებული მსჯელობისა სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების შესახებ შუამდგომლობას წარმოვადგენთ ასევე სასკ-ის 29.3 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით. კერძოდ, წინამდებარე სარჩელის სამართლებრივ საფუძვლებში წარმოდგენილია საფუძვლიანი და დასაბუთებული მსჯელობები, რომლებიც დამტკიცებულია სარჩელზე თანდართული მტკიცებულებებით და რომლებითაც ცალსახად არის დადგენილი, რომ განსახილველ შემთხვევაში დადასტურებულად არსებობს დასაბუთებული ეჭვი გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 1 ოქტომბრის N 2-1409 ბრძანების - კანონიერების შესახებ; რაც სასკ-ის 29.3 მუხლით განსაზღვრული შეჩერების წინაპირობაა.

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?			
დიახ	☐	ვის?	რომელი ენის მცოდნე?
არა	☒		

სარჩელის ფასი	—	არაქონებრივი ლარი
სახელმწიფო ბაჟი	—	100 ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი

სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიშის #: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან?	დიახ ☐ არა ☒
რომელი ნორმა?	
მტკიცებულება:	
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას?	დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას?	დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე?	
მტკიცებულება:	
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას?	დიახ ☐ არა ☒
რის საფუძველზე??	
მტკიცებულება:	
შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოს გარეშე) ხარჯების თაობაზე:	
5.	

SeniSvna-1

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?		
დიახ	☐	მტკიცებულება
არა	☒	რადგან გასაჩივრებული აქტის თანახმად, ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის. სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია: » რთულადგანჭვრეტადი შედეგი; » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი; » სასამართლო ხარჯები;

» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?		
დიახ	☐	მორიგების პირობები:
არა	☒	რადგან დავის საგნიდან გამომდინარე შეუძლებელია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?		
დიახ	☐	
არა	☒	რადგან განსახილველი საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარისათვის.

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
15 წუთი რადგან ეს დრო არის საჭირო მხარის პოზიციის დასაბუთებისათვის.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?
I სხდომაში რადგან ერთ სხდომაში დასრულება გონივრულია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?		
დიახ	☒	
არა	☐	რადგან

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას		
ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?		
დიახ	☒	
არა	☐	რადგან

თანდართული საბუთების ნუსხა

1. 2020 წლის 14 ივლისს გამოქვეყნებული განცხადება.
2. 2020 წლის 15 ივლისს გამოქვეყნებული განცხადება.
3. 2020 წლის 30 ივლისის განცხადება.
4. შპს "კოლხეთი ცემენტის" დირექტორის წერილი.
5. მწვანე ალტერნატივას 2020 წლის 3 აგვისტოს წერილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსს და საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს.
6. „აქცია კომბინატში - ცემენტის ქარხნის შესაძლო მშენებლობის საწინააღმდეგოდ პეტიცია შეადგინეს“, „რადიო ათინათი, 14:50 / 28.07.2020; ზუგდიდში ცემენტის ქარხნის შესაძლო მშენებლობის წინააღმდეგ აქცია გაიმართა“, pia.ge, 28.7.2020 15:10; “პროტესტი ცემენტის საწარმოს - ვინ და რას აშენებს ენგურქაღალდკომბინატში”, livepress.ge, 12:58 / 30.07.2020; “არა ცემენტის ქარხანას! – ენგურქაღალდკომბინატში აქციის მონაწილეებმა პეტიცია შეიმუშავეს”, odishinews.ge -28 ივლისი 2020, 15:21.
7. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება.
8. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სააპელაციო საჩივარი.
9. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 5 აპრილის ბრძანება №2-400 „ქ. ზუგდიდში, შპს ,,კოლხეთი ცემენტის“ ცემენტის წარმოებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“.
10. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 19/04/2021 №3783/01 წერილი.
11. მწვანე ალტერნატივას, თენგიზ ჯგუშიას და მარინა დგებუაძის ადმინისტრაციული საჩივარი.
12. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება.

13. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება თანდართული ფაილებით.
14. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება;
15. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 2 ივლისის წერილი.
16. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება;
17. კომპანიის განცხადება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოთხოვნის თაობაზე
18. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება საჯარო განხილვის თაობაზე.
19. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს განცხადება
20. კომპანიის განცხადება
21. მწვანე ალტერნატივას, თენგიზ ჯგუშიას და მარინა დგებუაძის ადმინისტრაციული საჩივარი;
22. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება.
23. მწვანე ალტერნატივას საჩივარი.
24. საჯარო განხილვის ოქმი.
25. ბადრი ცატავას (კომისიის თავმჯდომარე) - სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის მოწვეული სპეციალისტი - დასკვნა;
26. ნინო ობოლაშვილი (კომისიის წევრი) - გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის ინტეგრირებული მართვის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - დასკვნა; დანართო
27. ალექსანდრე სურმავა (კომისიის წევრი) - საზოგადოებრივი ექსპერტის დასკვნა;
28. ექსპერტიზის დასკვნა ქ. ზუგდიდში შპს ,,კოლხეთი ცემენტის'' ცემენტის წარმოების პროექტზე.
29. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება № 2-1409 „ქ. ზუგდიდში, კოლხეთი ცემენტის'' ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“
30. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 25/10/2021 №11094/01 წერილი.
31. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
32. რწმუნებულებები.
33. ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 409

სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	**არა**
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	☒	☐
2.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☒	☐
3.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☒	☐
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	☒	☐
5.	მითითებულია დავის საგანი.	☒	☐
6.	მითითებულია სარჩელის ფასი.	☒	☐
7.	მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	☒	☐
8.	მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	☒	☐
9.	სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	☒	☐
10.	სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☒	☐
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	☒	☐
12.	სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	☒	☐
13.	სარჩელი ხელმოწერილია	☒	☐
14.	სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხე	☒	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:	*ხელმოწერა*	*სახელი და გვარი*
☐	☐ *პუნქტების ჩამონათვალი*		

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე _ თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ნინო გუჯარაიძე ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას და თენგიზ ჯგუშიას წარმომადგენელი	24 ნოემბერი, 2021
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი და გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.